



საქართველოს კონტროლის პალატა

“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის

მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

28 თებერვალი

„-----“ 2012 წელი

01/12/00

ეგზ.2

სსიპ „მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს
სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი“

სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში - უცხოური კრედიტებითა და გრანტებით,
აგრეთვე მათზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოყოფილი
სახსრების მიღებისა და განკარგვა - გამოყენების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

01/07/2008 – 30/06/2011

შინაარსი

ორგანიზაციის ზოგადი აღწერა	3
შემოკლებანი	3
საკოორდინაციო ცენტრის მიერ სოფლის განვითარების პროექტის განსახორციელებლად გრანტების, სახელმწიფო გარანტიით კრედიტების, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოყოფილი სახსრების მიღებისა და განკარგვის სამართლებრივი საფუძვლები	4
პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები.....	5
სოფლის განვითარების პროექტით და ამ პროექტის ფარგლებში საკრედიტო და საგრანტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობა	6
გაცემული სესხები.....	6
საკოორდინაციო ცენტრის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე განხორციელებული კონტროლი	7
საკოორდინაციო ცენტრის მიერ თითოეულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე განხორციელებული კონტროლი.....	9
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ აღებულ და გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯების ანალიზი	10
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საბრუნავ ანგარიშზე აკუმულირებული თანხები.....	11
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ტრანშის ათვისება.....	12
მეორადი სესხის რეფინანსირების პირობები.....	13
მეორადი სესხის მიღების განაცხადის წარდგენა	13
მომდევნო ტრანშების მიღება.....	14
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების მიზნობრიობა.....	15
მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის სოფლის განვითარების პროექტიდან მიღებული მეორადი სესხებისათვის ცალკე საბანკო ანგარიშები	16
საკოორდინაციო ცენტრის მიერ კომერციულ ბანკებზე განხორციელებული კონტროლი.....	16
სოფლის განვითარების პროექტით გათვალისწინებული სახსრების ათვისების მდგომარეობა, გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება.....	17
სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის რეგიონალური სამმართველოს ახალი ოფისის მშენებლობა	17
სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის რეაბილიტაცია.....	18
ბიუჯეტის დამტკიცება	19
შესყიდვები, რომლებიც არ განხორციელებულა	19
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	21

ორგანიზაციის ზოგადი აღწერა

საკოორდინაციო ცენტრის შექმნის საფუძველი:

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება¹;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრების ბრძანებები².

საკოორდინაციო ცენტრის მიზანი და განსახორციელებელი პროექტები:

- სოფლის განვითარების პროექტი;
- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი;
- ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი;
- მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა;
- აგრარულ სექტორში საქართველოსა და დონორებს შორის შეთანხმებული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა.

საკოორდინაციო ცენტრის ლიკვიდაციის საფუძველი:

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება³.

ლიკვიდაციის პროცესი დასრულდა 2011 წლის 30 ივნისს, საკოორდინაციო ცენტრის უფლებები და მის მიერ ნაკისრი მოვალეობების განხორციელება დაევა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საკოორდინაციო ცენტრის მისამართი:

საქართველო, ქ. თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზირი N6

ტელ: (+995-32) 2 37 66 48

შემოკლებანი

- საკოორდინაციო ცენტრი - სსიპ „სოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი“;
- SDR - სპეციალური სასესხო უფლება;
- IDA - განვითარების საერთაშორისო ასოციაცია
- IFAD - სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
- PHRD - იაპონური გრანტი
- N314 ბრძანება - საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 10 აპრილს დამტკიცებული ერთობლივი N314 ბრძანება
- მსო - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
- PIU - პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი

¹ 2001 წლის 23 აპრილის N149 ბრძანებულება

² 2001 წლის 1 მაისის N2-74 და N86 ბრძანებები

³ 2011 წლის 1 თებერვლის N48 განკარგულება

საკოორდინაციო ცენტრის მიერ სოფლის განვითარების პროექტის განსახორციელებლად გრანტების, სახელმწიფო გარანტიით კრედიტების, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოყოფილი სახსრების მიღებისა და განკარგვის სამართლებრივი საფუძვლები

სოფლის განვითარების პროექტის განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი ხელშეკრულებები:

- 2005 წლის 28 მაისს საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის (IDA) ხელმოწერილი განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც სხვადასხვა ვალუტაში შეადგენს 6,600,000 SDR (ექვსი მილიონ ექვსასი ათას სპეციალურ სასესხო უფლებას).

ხელშეკრულების (დანართი N2) მიხედვით, პროექტის მიზანია კერძო სასოფლო-სამეურნეო სექტორის მომგებიანობისა და პროდუქტიულობის განვითარება, საქართველოს მცირე და საშუალო ფერმერებისათვის მიწოდების ქსელის ხელმისაწვდომობას, მიწოდების ქსელის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, აგრეთვე შერჩეული იმ სასოფლო სამეურნეო და ფინანსური დაწესებულებების გაძლიერება, რომლებიც ემსახურებიან კერძო სასოფლო-სამეურნეო სექტორს.

- საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს (IFAD) შორის 2005 წლის 29 ივნისს ხელმოწერილი პროექტის დაფინანსების ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა კერძო სასოფლო-სამეურნეო სექტორის პროდუქტიულობისა და მომგებიანობის დონის ამაღლებას, ასევე საქართველოში ძირითადად გავრცელებული წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობების სასაქონლო მიწოდების ქსელთან ურთიერთობის ხელშეწყობის, მიწოდების ქსელების კონკურენტუნარიანობის ამაღლების და შერჩეული სასოფლო-სამეურნეო და საფინანსო დაწესებულებების გაძლიერებას. პროექტით გათვალისწინებულია 6,050,000 SDR (ექვსი მილიონ ორმოცდაათი ათასი სპეციალური სასესხო უფლება) და ასევე გრანტი 550,000 SDR.

აღნიშნული პროექტები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ა) სასოფლო-სამეურნეო მიწოდების ქსელების განვითარება;
- ბ) სოფლად საფინანსო მომსახურება;
- გ) ინსტიტუციური მოდერნიზაცია;
- დ) პროექტის მენეჯმენტი.

- საქართველოსა და იაპონიის მთავრობას (PHRD) შორის 2005 წლის 28 მაისს ხელმოწერილია საგრანტო ხელშეკრულება N TF54362. საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენდა 4,500,000 აშშ დოლარს. გრანტის მიზანია სოფლის განვითარების პროექტის განხორციელების თანადაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ა) აგრარული მარკეტინგის შესაძლებლობების მობილიზაცია;
- ბ) სოფლის მეურნეობის ფინანსური მომსახურება;
- გ) ინსტიტუციონალური განვითარება;
- დ) პროექტის მენეჯმენტი.

პროექტების დასრულების ვადები:

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სოფლის განვითარების პროექტი, IDA-სა PHRD-ის ნაწილში უკვე დახურულია, ხოლო IFAD-თან საკრედიტო ხელშეკრულების დახურვის ვადა განსაზღვრულია 2012 წლის 30 ივნისისათვის.

პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები

საფინანსო ინსტიტუტების შერჩევა

პროექტში მონაწილეობაზე სურვილი გამოთქვა ხუთმა ბანკმა („ბანკი რესპუბლიკა“, „თიბისი“, „ბაზის ბანკი“, „ბანკი ქართუ“, „კოროსტანდარტ ბანკი“). ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, ინტერესი გამოთქვა შვიდმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ („კრისტალი“, „ფინკა“, „კრედო“, „ლაზიკა“, „ფინანგრო“, „რიკო“, „თბილბიზნესი“). მათ ჩაუტარდათ მსოფლიო ბანკის შესარჩევი პროცედურა („due diligence“), რომელიც განახორციელა ჰოლანდიელმა ექსპერტმა მაიკლ კორტენბუშმა.

კომერციული ბანკები

სესხის ვადა

მონაწილე კომერციული ბანკისათვის აშშ დოლარებში გამოხატული მეორადი სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ვადა შეადგენს 10 (ათი) წელს. მეორადი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა განხორციელდება თანაბარი გადახდებით, დაწყებული მე-4 წლის ბოლოდან შემდგომი 6 წლის განმავლობაში. მეორადი სესხის დაფარვა განხორციელდება მიღებული თანხის მთლიანი ოდენობით, სესხის კლებად ნაშთზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად.

საპროცენტო განაკვეთი

აშშ დოლარში გაცემულ სესხზე, საპროცენტო სარგებლის გადახდა როგორც ბანკებისთვის, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, ხდებოდა ცვალებადი განაკვეთით, 6 თვეში ერთხელ 6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით, რასაც ემატებოდა 2.0%. საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება 6 თვეში ერთხელ 1 თებერვალს და 1 აგვისტოს შესაბამისი ნახევარწლიანი პერიოდის (6-თვიანი LIBOR-ის მიხედვით) საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

სესხის ვადა

მეორადი სესხის თითოეული გადარიცხვის ძირითადი თანხის დაფარვა არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ განხორციელდება 10 წლის განმავლობაში თანაბარი, 6-თვიანი შენატანებით, 2 წლიანი საშეღავათო პერიოდის შემდეგ. გადახდა განხორციელდება მიღებული მთლიანი ოდენობის სესხის კლებად ნაშთზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთთან ერთად.

საპროცენტო განაკვეთი

ლარებში გაცემულ სესხზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ცვალებადი განაკვეთით, რომელიც კორექტირდება 6 თვეში ერთხელ შიდა ინფლაციის საფუძველზე, რასაც დაემატება 2.5%. ლარებში დაფიქსირებული მეორადი სესხების საპროცენტო სარგებელი კორექტირებულ იქნება 6 თვეში ერთხელ 1 თებერვალს და 1 აგვისტოს ფაქტობრივი და დაგეგმილი ინფლაციის მიხედვით.

სოფლის განვითარების პროექტით და ამ პროექტის ფარგლებში საკრედიტო და საგრანტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობა

გაცემული სესხები

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით⁴, ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა “სოფლად ფინანსური მომსახურება”. აღნიშნულ კომპონენტის ფარგლებში, საფინანსო ინსტიტუტებისათვის საკრედიტო ხაზით გათვალისწინებული რესურსი შეადგენდა დაახლოებით 16.2 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტს (საიდანაც IDA-ს ნაწილი 4.8 მლნ. SDR-ი - დაახლ. 8.2 მლნ. აშშ დოლარის ექვივალენტი და IFAD-ის ნაწილი 4.7 მლნ. SDR-ი - დაახლ. 8.0 მლნ. აშშ დოლარის ექვივალენტი), რომელიც გამიზნული იყო მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტებით საინვესტიციო და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, რათა უზრუნველყოფილიყო:

ა) დამატებითი რესურსით საბანკო და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები, სასოფლო-სამეურნეო სფეროში სესხების გაცემად;

ბ) საბანკო და არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაკრედიტების უნარჩვევების სრულყოფა, და ასევე სოფლად მომუშავე არასაბანკო ფინანსური დაწესებულებების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება.

საკოორდინაციო ცენტრს ევალებოდა იმ საფინანსო ინსტიტუტების შერჩევა, რომელიც დააკმაყოფილებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შემდგომ მათზე მონიტორინგი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შერჩეული საფინანსო ინსტიტუტებზე გაცემული და მათ მიერ დაბრუნებული თანხები. 2011 წლის 30 ივნისის კურსით (1დოლარი = 1.6665 ლარს):

ბანკები	გაცემული აშშ დოლარში	მიღებული აშშ დოლარში	მისაღები აშშ დოლარში	მისაღები ლარში	
ბანკი რესპუბლიკა	1,195,290	170,756	1,024,534	1,707,386	
ბაზის ბანკი	2,500,000	1,816,289	683,711	1,139,404	
ბანკი ქართუ	1,621,400	1,621,400	-	-	
თიბისი ბანკი	1,029,140	147,020	882,120	1,470,053	
სულ	6,345,830	3,755,465	2,590,365	4,316,843	
მიკროსაფინანსო	გაცემული ლარში	გაცემული აშშ დოლარში	ექვივალენტი ლარში	მიღებული ლარში	მისაღები ლარში
კრედიტ	3,397,082	1,000,000	1,666,500	-	5,063,582
კრისტალი	542,450	820,000	1,366,530	225,934	1,683,046
ლაზიკა	-	1,845,450	3,075,442	-	3,075,442
ფინაგრო	300,000	1,122,901	1,871,315	-	2,171,315
ფინკა	4,832,451	-	-	-	4,832,451
სულ	9,071,983	4,788,351	7,979,787	225,934	16,825,836

⁴ N 314 - 2-60 2006 წლის 10 აპრილი “სოფლის განვითარების პროექტის სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების (RCG) დამტკიცების შესახებ”

საკოორდინაციო ცენტრის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე განხორციელებული კონტროლი

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N314 არეგულირებს საფინანსო ინსტიტუტების შერჩევის და პროექტში მონაწილეობის პირობებს, ასევე მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებზე მოსათხოვ ანგარიშგების ფორმებს, საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან პროექტის მონიტორინგს და ზედამხედველობას.

პროექტში მონაწილე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს N314 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით მოეთხოვებათ შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:

- არასაბანკო ფინანსური დაწესებულების განხორციელების ზოგადი მაჩვენებლები, სადაც წარმოდგენილია მთლიანი სასესხო პორტფელის ანალიზი;
- პროექტის განხორციელების კონკრეტული მაჩვენებლები;
- სასესხო პორტფელის სტრუქტურა გადახდის პერიოდის, მოცულობებისა და საპროცენტი სარგებლის მიხედვით;
- არააუდირებული ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგება;
- საბრუნავი ანგარიშის ნაშთის უწყისი (თითოეული ვალუტისთვის);
- აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების დამოწმებული ასლები და აუდიტორების მიერ წარმოდგენილი მენეჯმენტის წერილი არაუგვიანეს 6 თვისა ყოველი ფინანსური წლის დასრულების შემდეგ.

პროექტში მონაწილე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა ყოველთვიური სტანდარტული ანგარიში საკოორდინაციო ცენტრს უნდა წარუდგინონ ყოველი თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში.

აღმოჩენილი უზუსტობა

N314 ბრძანებით დადგენილი ინსტრუქციის შესაბამისად, საკოორდინაციო ცენტრისათვის ყოველთვიურად წარსადგენი დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაგვიანებით, არასრულად ან საერთოდ არ აქვთ წარდგენილი ინსტრუქციის მიხედვით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

მეორადი სასესხო ხელშეკრულების ვადებისა და პირობების შესაბამისად, მონაწილე ფინანსურ დაწესებულებას უნდა უზრუნველყო, რომ მისი წლიური ფინანსური აუდიტის დროს გარე აუდიტორს ცალკე აუდიტორული ანგარიში წარმოედგინა პროექტთან დაკავშირებული ანგარიშებისა და დოკუმენტაციის შესახებ, რაც ასევე არცერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ განუხორციელებია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ N314 ბრძანებით დადგენილი ინსტრუქციის შესაბამისად საკოორდინაციო ცენტრისათვის ყოველთვიურად წარსადგენი დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რიგი ორგანიზაციებისა არასწორად ავსებს ინსტრუქციით დადგენილ დანართებს.

არცერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, გარდა „ლაზიკა“-სი, საკოორდინაციო ცენტრისათვის არ წარმოუდგენია გარე აუდიტორების მიერ წარმოდგენილი მენეჯმენტის წერილი.

საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან არ ყოფილა ოფიციალური მიმართვა, რომელიც მიმართული იქნებოდა ზემოთხსენებული უზუსტობებისა და დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენის პრობლემების აღმოსაფხვრელად.

აღნიშნულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საფინანსო ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კონტროლი საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან ვერ ხორციელდება სათანადოდ.

გავლენა

N314 ბრძანებით განსაზღვრული ინსტრუქციების დარღვევა, შეიძლება გამხდარიყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პროექტში მონაწილეობის შეჩერების ან შეწყვეტის მიზეზი.

დროის განსაზღვრულ მომენტში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე საჭირო ინფორმაციის არ არსებობამ, როგორც ცენტრის ხელმძღვანელობა, ასევე სხვა ყველა დაინტერესებული მხარე, რომელთაც ზუსტად უნდა განსაზღვრონ ამა თუ იმ საფინანსო ინსტიტუტის ფინანსური სტაბილურობა, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს, რის გამოც საკრედიტო ხაზით ტრანში შესაძლოა გაიცეს ისეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე, რომელიც საერთოდ არ იყოს გადახდისუნარიანი და ვერ შეძლოს ბიუჯეტიდან მიღებული თანხის უკან დაბრუნება.

აღმოჩენილი უზუსტობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობის მონიტორინგის სისტემის წარმოქმნილი სიფრთხილის

საკოორდინაციო ცენტრის მიერ თითოეულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე განხორციელებული კონტროლი

მსო „კრისტალი“

აღმოჩენილი უზუსტობა

მსო „კრისტალი“-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციით ჩანს, რომ 2009 წლის ივლისიდან 2009 წლის ნოემბრამდე რისკის ქვეშ მდგომი პორტფელის (30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება) მოცულობა აჭარბებდა ინსტრუქციით დადგენილ 3%-ს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია „კრისტალის“ რისკის ქვეშ მდგომი პორტფელის მონაცემები.

2009 წელი	მთლიანი სესხი	რისკის ქვეშ მყოფი სესხი	მთლიანი სესხის
ივლისი	5,554,670	252,182	4.54%
აგვისტო	არ წარმოდგენილი	არ წარმოდგენილი	არ წარმოდგენილი
სექტემბერი	5,923,757	200,223	3.38%
ოქტომბერი	6,313,026	219,062	3.47%
ნოემბერი	6,625,841	216,665	3.27%

აღმოჩენილი უზუსტობა

მსო „კრისტალს“ საკოორდინაციო ცენტრში არ წარმოდგენია 2009 წლის აგვისტოს, 2011 წლის მაისის და ივნისის თვის ინსტრუქციით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

მსო „კრედო“

აღმოჩენილი უზუსტობა

2010 წლის ივნისიდან 2011 წლის ივნისამდე, მსო „კრედოს“ საკოორდინაციო ცენტრში საერთოდ აღარ წარმოდგენია ინსტრუქციით განსაზღვრული დოკუმენტაცია. მხოლოდ 2011 წლის აპრილის თვის დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი.

მსო „ფინკა“

აღმოჩენილი უზუსტობა

„ფინკას“ მიერ საკოორდინაციო ცენტრში წარმოდგენილი დანართების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ:

- ყველა დანართი შევსებულია შეცდომით, რადგან დანართებში ასახულია მხოლოდ პროექტის ფარგლებში არსებული ფინანსური მდგომარეობა და არა მთლიანად ორგანიზაციისა.
- 2010 წლის მაისის თვის დოკუმენტაცია წარმოდგენილია დაგვიანებით, კერძოდ 2010 წლის 30 ივნისს.
- 2010 წლის აპრილის, აგვისტოს და სექტემბრის თვის დოკუმენტაციაში წარმოდგენის თარიღი საერთოდ არ ფიქსირდება.
- 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის ივნისამდე დოკუმენტაცია საერთოდ არ იქნა წარმოდგენილი.

მსო „ფინაგრო“

• 2010 წლის მაისიდან 2011 წლის ივნისამდე, ყველა დოკუმენტაცია, გარდა 2011 წლის მარტის და მაისისა, წარმოდგენილია დაგვიანებით.

• მსო „ფინაგროს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ რისკის ქვეშ მდგომი პორტფელის მოცულობა აჭარბებდა ინსტრუქციით დადგენილ 3%-ს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია „ფინაგროს“ რისკის ქვეშ მდგომი პორტფელის მონაცემები.

2010 წელი	მთლიანი სესხი	რისკის ქვეშ მყოფი სესხი	მთლიანი სესხის
მაისი	4,392,273	144,945	3.3%
ივნისი	4,784,917	172,257	3.6%
ივლისი	4,773,732	195,723	4.1%
აგვისტო	5,092,514	178,238	3.5%
სექტემბერი	5,327,970	175,823	3.3%
ოქტომბერი	5,542,583	199,533	3.6%
ნოემბერი	5,880,750	211,707	3.6%

2011 წელი	მთლიანი სესხი	რისკის ქვეშ მყოფი სესხი	მთლიანი სესხის
თებერვალი	5,938,065	184,080	3.1%
მარტი	5,965,581	184,933	3.1%
აპრილი	6,080,226	188,487	3.1%
ივნისი	6,404,969	204,959	3.2%

მსო „ლაზიკა“

აღმოჩენილი უზუსტობა

• მსო „ლაზიკას“ და მსესხებელ ელისო ცაგურას შორის ხელშეკრულება⁵ გაფორმებულია 906.62 აშშ დოლარზე, ხოლო მსო „ლაზიკას“ მიერ საკოორდინაციო ცენტრში წარმოდგენილ მონაცემებში სესხი დაფიქსირებულია 1,500 აშშ დოლარის ოდენობით.

• მსო „ლაზიკას“ საკოორდინაციო ცენტრში ყოველთვიურად წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ აქვს თარიღი, ამიტომ ვერ მოხერხდა გაგება დროულად იქნა თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

• მსო „ლაზიკას“ საკოორდინაციო ცენტრში 2010 წლის იანვრის და 2010 წლის აგვისტოდან 2011 წლის ივნისამდე ინსტრუქციით განსაზღვრული არანაირი დოკუმენტაცია არ წარმოდგენილია.

• მსო „ლაზიკას“ ევალუბოდა არააუდიტირებული ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საკოორდინაციო ცენტრისათვის, რაც არ განუხორციელებია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ აღებულ და გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ასახულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში მიღებული და გაცემული სესხების შედეგად საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემები.

⁵ სესხის ხელშეკრულება - LC/A/39285

დასახელება	საპროცენტო შემოსავალი 2009	საპროცენტო შემოსავალი 2010	საპროცენტო შემოსავალი 2011	საშუალო საპროცენტო განაკვეთი
კრედიტ	17,831	531,502	649,686	37%
კრისტალი	35,277	345,480	566,977	35%
ლაზიკა	24,941	403,971	524,417	32%
ფინანსო	-	114,172	324,059	29%
ფინკა	-	365,603	1,569,271	42%
სულ	78,049	1,760,729	3,634,410	38%

დასახელება	საპროცენტო ხარჯი 2009	საპროცენტო ხარჯი 2010	საპროცენტო ხარჯი 2011	საშუალო საპროცენტო განაკვეთი
კრედიტ	-	126,554	319,424	7%
კრისტალი	8,588	41,366	82,250	6%
ლაზიკა	8,179	52,678	70,276	3%
ფინანსო	-	25,615	78,163	3%
ფინკა	-	83,388	439,962	9%
სულ	16,767	329,601	990,075	5%

დასახელება	სარგებელი 2009	სარგებელი 2010	სარგებელი 2011
კრედიტ	17,831	404,949	330,262
კრისტალი	26,689	304,114	484,727
ლაზიკა	16,762	351,293	454,141
ფინანსო	-	88,557	245,896
ფინკა	-	282,215	1,129,309
სულ	61,282	1,431,128	2,644,335

გავლენა

ცხრილიდან ჩანს, თუ რა სარგებელი მიიღო თითოეულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ფარგლებში. მსოფლიოს მიერ დაწესებული საკმაოდ დიდი საპროცენტო განაკვეთი, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირს ეფექტური სარგებელი ნახოს მიღებული სესხიდან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობისაგან აღნიშნული სესხი საკმაოდ შეღავათიან პროცენტში იყო მიცემული საფინანსო ინსტიტუტებზე, მაინც არ მოხდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთათვის ამ სესხების ასევე შეღავათიან პირობებში გაცემა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საბრუნავ ანგარიშზე აკუმულირებული თანხები

სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში გახსნილ ქვესესხის ანგარიშზე, ქვემსესხებლის მიერ გადახდილი ძირითადი თანხის ნებისმიერი ოდენობა, რომელიც დაუყოვნებლივ არ ექვემდებარება გადახდას ფინანსთა სამინისტროსთვის მეორადი სესხის დაფარვის მიზნით, არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ აღირიცხება ცალკე საბრუნავ ანგარიშებზე (ცალკე ანგარიში თითოეული ვალუტისთვის) ფულადი სახსრების სახით. აღნიშნულ საბრუნავ ანგარიშზე აკუმულირებული სახსრები არასაბანკო ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს დამატებითი ქვეპროექტების დასაფინანსებლად და აკმაყოფილებდეს მეორად სესხზე ხელშეკრულებასა და სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციებით განსაზღვრულ ვადებს, პირობებსა და მონაწილეობის კრიტერიუმებს. თუ არასაბანკო ფინანსურ დაწესებულების საბრუნავ ანგარიშზე არსებული ნაშთი 50,000 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას აღემატება და არ გამოიყენება მომდევნო 8 თვის განმავლობაში, არასაბანკო ფინანსური დაწესებულება ვალდებულია საბრუნავ ანგარიშზე რიცხული მეორადი სესხის გამოუყენებელი თანხის ნაშთი სრულად გადარიცხოს პროექტის საბრუნავი ფონდის ანგარიშზე 8 თვის პერიოდის გასვლიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

აღმოჩენილი უზუსტობა

ვერ მოხერხდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საბრუნავი ანგარიშების შესახებ ინფორმაციის სისწორის დადგენა, რადგან არ არის შემუშავებული ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა ხდებოდეს აღნიშნული დოკუმენტის შევსება.

გავლენა

აღნიშნული გარემოება მიუთითებს საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის კონტროლის სისუსტეზე, რაც თავის მხრივ, ზრდის „მსო“-ების მხრიდან არაკეთილსინდისიერი და დადებულ ხელშეკრულებასთან შეუსაბამო საქმიანობის რისკებს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ტრანშის ათვისება

არასაბანკო ფინანსური დაწესებულება პერიოდულად ამზადებს განაცხადს თანხის (ტრანშის) მოთხოვნაზე, რაც არის საფუძველი საკრედიტო ხაზიდან სახსრების ათვისებისა. ამ დროს გამოიყენება შემდეგი მიდგომა საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პროექტების საკოორდინაციო ცენტრს მორიგი ტრანშის მისაღებად წარუდგენს გადარიცხვის განაცხადს და სასესხო დაბანდებების საპროგნოზო მონაცემებს რეგიონების მიხედვით, სესხების სავარაუდო რაოდენობის, მიზნობრიობისა და სავარაუდო ჯამური სასესხო თანხების მითითებით. თითოეული ტრანშის ათვისების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 კალენდარულ თვეს ტრანშის მიღებიდან. საკოორდინაციო ცენტრი სასესხო დაბანდებების საპროგნოზო მონაცემების სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ თანხას გადაურიცხავს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას.

მსო „ლაზიკა“

აღმოჩენილი უზუსტობა

- მსო „ლაზიკას“ მე-6 ქვეპროექტის ფარგლებში მიღებული აქვს მეორადი სასესხო თანხა 145,550 აშშ დოლარის ოდენობით 2010 წლის 20 ივლისს, საიდანაც ათვისებული თანხა შეადგენს ივლისის თვეში 106,731 აშშ დოლარს, ხოლო შემდეგი ათვისება დაწყებულია 10 კალენდარული თვის შემდეგ, 2011 წლის მაისში რაც შეადგენს 38,719 აშშ დოლარს.
- II ტრანშის ათვისება განხორციელებული აქვს 4 კალენდარული თვის მანძილზე (ტრანში: 500,000 აშშ დოლარი, ტრანშის მიღების თარიღი 2009 წლის 28 ოქტომბერი ათვისება გრძელდება 2010 წლის 26 მარტამდე) რაც ეწინააღმდეგება N314 ბრძანებით გათვალისწინებულ მოხოვნებს.

მსო „კრისტალი“

აღმოჩენილი უზუსტობა

II ტრანშის ათვისება განხორციელებული აქვს 5 კალენდარული თვის მანძილზე (ტრანში: 300,000 აშშ დოლარი, ტრანშის მიღების თარიღი: 2009 წლის 29 ოქტომბერი ათვისება გრძელდება 2010 წლის 29 მარტამდე), რაც ეწინააღმდეგება N314 ბრძანებით გათვალისწინებულ მოხოვნებს.

მიუხედავად ინსტრუქციაში გათვალისწინებული პირობებისა, საკოორდინაციო ცენტრის პროექტების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ ვერ ხორციელდება სათანადო შემოწმება, სასესხო დაბანდებების საპროგნოზო მონაცემების სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციების კრიტერიუმების შესაბამისობასთან, თანხის გადარიცხვა ხდება არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებასთან ინსტრუქციის დაცვის გარეშე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არასწორად აქვთ განხორციელებული საპროგნოზო მონაცემების დაგეგმვა, აღნიშნული უზუსტობის მიუხედავად, საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან მაინც არის განხორციელებული ტრანშების გადარიცხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

გავლენა

მოთხოვნილი ტრანშების ათვისების ვადის დარღვევით გამოიკვეთა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ არასწორად დაგეგმილი სესხების გაცემის პოლიტიკა, საკოორდინაციო ცენტრის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხების გაჩერებით, მეტ სარგებელს ნახავდა ორგანიზაცია და შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტიც.

მეორადი სესხის რეფინანსირების პირობები

მეორად სესხებზე საკრედიტო ხაზიდან თანხების გადარიცხვა ხორციელდება მხოლოდ არასაბანკო ფინანსური დაწესებულების მიერ ბენეფიციარებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქვესესხების გაცემის მიზნით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლია ტრანშის მიღებამდე 120 დღის განმავლობაში გაცემული აგრო სესხების რეფინანსირება მოახდინოს მიღებული ტრანშიდან.

მსო „კრისტალი“

აღმოჩენილი უზუსტობა

I ტრანში მიღებული აქვს 2009 წლის 15 ოქტომბერს, ტრანშს მიკუთვნებული აქვს სესხები რომელთა გაცემის თარიღი იწყება 2009 წლის 3 აპრილიდან და გრძელდება 2009 წლის 29 ოქტომბრამდე, რაც აჭარბებს ინსტრუქციით განსაზღვრულ 120 დღიან ვადას.

მსო „ფინკა“

აღმოჩენილი უზუსტობა

VI ტრანში მიღებული აქვს 2011 წლის 24 მაისს 838,400 ლარი. აღნიშნული ტრანშით რეფინანსირებულია 2010 წლის დეკემბრის თვეში გაცემული სესხები, რაც აჭარბებს ინსტრუქციით განსაზღვრულ 120 დღიან ვადას.

გავლენა

საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან, ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოვლენილია კონტროლების სუსტი სისტემა, რაც ქმნის რისკს, რომ ტრანშის რეფინანსირების თარიღის დარღვევით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მიღებულ ტრანშში შეეყვანათ ისეთი სესხები, რომლებიც შესაძლებელია პროექტის ფარგლებში სესხის გაცემის პირობებს არ შეესაბამებოდეს ან უკვე დაფარული იყოს რომელიმე კონკრეტული სესხი და მიღებული ტრანში მსო-მ მოიხმაროს საკუთარი მიზნებისათვის.

მეორადი სესხის მიღების განაცხადის წარდგენა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პერიოდულად ამზადებს განაცხადს თანხის მოთხოვნაზე, რაც საკრედიტო ხაზიდან სახსრების ათვისების საფუძველს წარმოადგენს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ფინანსთა სამინისტროს შორის მეორადი სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პროექტების საკოორდინაციო ცენტრს მორიგი ტრანშის მისაღებად წარმოუდგენს გადარიცხვის განაცხადს და სასესხო დაბანდებების საპროგნოზო მონაცემებს რეგიონების მიხედვით, სესხების სავარაუდო რაოდენობის, მიზნობრიობისა და სავარაუდო ჯამური სასესხო თანხების მითითებით ინსტრუქციაში არსებული დანართის მიხედვით.

აღმოჩენილი უზუსტობა

ტრანშის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ორ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას „ფინაგრო“-სა და „ფინკა“-ს, არ აქვთ წარმოდგენილი სასესხო დაბანდებების საპროგნოზო მონაცემები რეგიონების მიხედვით, ასევე სესხების სავარაუდო რაოდენობა და მიზნობრიობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენას ითვალისწინებს N 314 ბრძანება.

მსო „ფინანგრო“

ტრანში	თანხა	თარიღი
II ტრანში	335,000 აშშ დოლარი	27 ივლისი 2010 წელი

მსო „ფინკა“

ტრანში	თანხა	თარიღი
VII ტრანში	838,400 ლარი	28 აპრილი 2011 წელი
VIII ტრანში	364,650 ლარი	09 ივნისი 2011 წელი

ტრანშის გადარიცხვის დროს, გახარჯვის მიზნობრიობის არ ცოდნა, საკოორდინაციო ცენტრისათვის ართულებს შემდგომში გახარჯვებზე კონტროლის განხორციელებას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ გახარჯვების უწყისის ანალიზის შედეგად ჩანს, თუ რომელ რაიონშია ათვისებული სესხის თანხები, რაც სწორედ სასესხო დაბანდების საპროგნოზო მონაცემებს უდარდება და დგინდება დაპროგნოზებისა და რეალურად განხორციელებული ქმედებების შესაბამისობა. ასეთ შემთხვევაში, როდესაც არ არის წარმოდგენილი რაიონების მიხედვით საპროგნოზო მონაცემები, ვერ განისაზღვრება თანხის განაწილების პრიორიტეტულობა.

გავლენა

აღნიშნული ნაკლოვანებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ თანხები არამიზნობრივად გადაანაწილონ ერთპიროვნული შეხედულებების მიხედვით და შეცდომაში შეიყვანონ საკოორდინაციო ცენტრის პროექტების განმახორციელებელი ჯგუფი.

მომდევნო ტრანშების მიღება

მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის ყოველი მომდევნო ტრანშის ჩარიცხვა ხორციელდება მის მიერ წარმოდგენილი წინა ტრანშიდან გადარიცხული თანხების გახარჯვის უწყისის წარმოდგენის შემდეგ, სადაც დასაბუთებული იქნება წინა გადარიცხვით მიღებული სახსრების გამოყენება ახალი სახსრებით შევსების მიღებამდე.

აღმოჩენილი უზუსტობა

სოფლის განვითარების პროექტის სოფლად დაკრედიტების საოპერაციო ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნის მიუხედავად, საბუთებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ აღმოჩნდა გონივრული დასაბუთების საფუძველი, რათა ზუსტად გაგვერკვია თუ რომელი ტრანშიდან მიღებული თანხა რომელ რიცხვებში იყო გახარჯული. აღნიშნულის ერთ-ერთი ხელისშემშლელი მიზეზი ისიც იყო, რომ ინსტრუქციით გათვალისწინებული დანართი N6, რომლის წარმოდგენაც ევალებოდათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ შეიცავს სესხის გაცემის თარიღს. მეორადი სესხით გაცემული სესხების მონაცემთა ბაზა, რომელიც პროექტების განმახორციელებელ ჯგუფს გააჩნდა არ იყო სრული. სესხების ათვისებისა და მიზნობრიობის ზუსტი სურათის მისაღებად, საჭირო გახდა საკოორდინაციო ცენტრის მეშვეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ხელახლა გამოეგზავნათ აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების სრული პორტფელი, საიდანაც ნათლად გამოჩნდა სესხის ათვისებისა და ტრანშების მიღების თარიღების თანხვედრა.

მსო „ლაზიკა“

აღმოჩენილი უზუსტობა

II ტრანშის 500,000 აშშ დოლარის ჩარიცხვა განხორციელდა მაშინ როცა, I ტრანში 300,000 აშშ დოლარი არ იყო სრულად ათვისებული (262,027 აშშ დოლარი იყო ასათვისებული)

III ტრანშის 250,000 აშშ დოლარის ჩარიცხვა განხორციელდა მაშინ როცა, II ტრანშიდან (500,000 აშშ დოლარი) ასათვისებული იყო 284,495 აშშ დოლარი.

მსო „ფინაგრო“

აღმოჩენილი უზუსტობა

III ტრანშის 300 000 ლარის ჩარიცხვა განხორციელდა მაშინ როცა, II ტრანში 335 000 აშშ დოლარი არ იყო სრულად ათვისებული (275 576 აშშ დოლარი იყო ასათვისებული)

გაგლეწა

აღმოჩენილი ნაკლოვანება პირდაპირ მიუთითებს განმახორციელებელი ჯგუფის სუსტი კონტროლის მექანიზმზე, რამაც საშუალება მისცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ემოქმედათ მათი შეხედულებისამებრ და არა ინსტრუქციის დაცვით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების მიზნობრიობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გამოყოფილი საკრედიტო ხაზი ემსახურება მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც დაკავებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, გადამამუშავებითა და მარკეტინგით. ინსტრუქციის თანახმად ნებადართული საქმიანობა მოიცავს შიდა სამეურნეო წარმოებას, დაფასობას, დახარისხებას, შეფუთვის, სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაყიდვას და/ან სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების შეძენას და/ან წარმოებას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე მაცივრის ტიპის დასაწყობებას, აგრო-გადამამუშავებას და აგრობიზნესთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს.

ასევე, აღნიშნული ინსტრუქციით საკრედიტო ხაზიდან არ არის ნებადართული ქვემსესხებლის არსებული დავალიანებების რეფინანსირება.

აღმოჩენილი უზუსტობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხის ნაწილი გაცემულია არამიზნობრივად. სესხები გაცემულია მსესხებელთა პირადი მიზნებისათვის, რომლებიც შეყვანილია პროექტით მიღებული დაფინანსების ფარგლებში. (მაგალითად: სახლის რემონტი, თამბაქოს შეძენა, რეპეტიტორი, ტანსაცმლით ვაჭრობა, ავეჯის შეძენა, გაზის მონტაჟი, პარკეტის შეძენა, ავადმყოფობის ხარჯები, ავტომანქანის ნაწილების შეძენა და რემონტი, ავტომანქანის შეძენა, ლომბარდის გადასაფარად, მეორადი ტანსაცმლის შესაძენად და სავაჭროდ, სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ბანკებში ვალდებულებების გადასაფარად). საკოორდინაციო ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ არამიზნობრივად გაცემული სესხის მოცულობამ შეადგინა 335,565 ლარი.

მსო	კლიენტების რაოდენობა	სესხის თანხა
კრისტალი	22	63,908
2009	8	24,445
2010	11	31,263
2011	3	8,200
ლაზიკა	28	95,207
2009	1	7,000
2010	15	44,300
2011	12	43,907
ფინკა	168	176,450
2010	167	176,150
2011	1	300
სულ	218	335,565

გავლენა

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, სათანადოდ არ ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხის მიზნობრიობაზე კონტროლი. სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში მიღებული თანხების არამიზნობრივად გამოყენება შეიძლება გამხდარიყო კონტრაქტის შეჩერების ან გაუქმების საფუძველი. ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სესხები რომლებიც გაიცემოდა არამიზნობრივად, შესაძლოა უარის თქმის საფუძველი ყოფილიყო ისეთი მსესხებლების დაფინანსებისა, რომლებიც ნამდვილად იყვნენ ჩართულნი სოფლის მეურნეობაში.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის სოფლის განვითარების პროექტიდან მიღებული მეორადი სესხებისათვის ცალკე საბანკო ანგარიშები

პროექტში მონაწილე არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებას გახსნილი უნდა ჰქონდეს ცალკე საბანკო ანგარიში საკრედიტო ხაზიდან მიღებული მეორადი სესხისთვის და აგრეთვე ცალკეული ქვესესხების ანგარიშები – მეორად სესხზე ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსებული თითოეული ქვეპროექტისათვის.

აღმოჩენილი უზუსტობა

მონაწილე 5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან 4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ აქვს გახსნილი ცალკე საბანკო ანგარიში სოფლის განვითარების პროექტიდან მიღებული მეორადი სესხებისათვის. მიღებული თანხები ირიცხებოდა მათ საერთო ანგარიშზე, საიდანაც ხდებოდა როგორც საოპერაციო ხარჯების, ასევე სასესხო ვალდებულებების განაწილება. ინსტრუქციის თანახმად მსო-ები ვალდებული იყვნენ გაეხსნათ ცალკე ქვეანგარიშები პროექტიდან მიღებული თანხებისათვის.

დასახელება	ცალკე ანგარიში სოფლის განვითარების პროექტიდან მიღებული მეორადი სესხებისათვის	USD	GEL
კრედო	არ აქვს	არა	არა
ლაზიკა	არ აქვს	არა	არა
ფინკა	არა აქვს	არა	არა
ფინაგრო	აქვს	კი	კი
კრისტალი	ნაწილობრივ	კი	არა

გავლენა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ საკითხში N314 ბრძანებით განსაზღვრული ინსტრუქციის პირობების შეუსრულებლობამ, ხელი შეუშალა ჩარიცხული თანხების გაკონტროლებას, მათი მიზნობრივად გახარჯვის შესასწავლად. საერთო ანგარიშიდან შესაძლებელია მომხდარიყო ტრანშის არამიზნობრივად გამოყენება სხვა დანიშნულებისათვის და არა სასოფლო სამეურნეო სესხების გაცემისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან კონტროლის სისუსტეზე.

საკოორდინაციო ცენტრის მიერ კომერციულ ბანკებზე განხორციელებული კონტროლი

პროექტში მონაწილე კომერციულ ბანკებს N314 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით მოეთხოვებოდათ შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:

- არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება PCC/PIU-ს მიერ დადგენილ ელექტრონულ ფორმატში - ყოველი კვარტალის დასრულებიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა;
- აუდიტირებული წლიური ფინანსური უწყისების დამოწმებული ასლები, რომლებიც შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ. მიწოდებული წერილი კომერციული ბანკის მენეჯმენტისადმი ("Management Letter") - ყოველი ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 120 დღის განმავლობაში;
- საკრედიტო ხაზით დაფინანსებული სასესხო პორტფელის ვადაგადაცილების კლასიფიკაცია - ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა;
- ამონაწერი პროექტის საბრუნავი ანგარიშებიდან ყოველი თვის დასრულებიდან არაუგვიანეს მე-10 დღის;
- ყოველ დამტკიცებულ სესხზე წარმოდგენილი ანგარიში უნდა აღნიშნავდეს სესხის დაფარვის მიმდინარე მდგომარეობას (ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი). ვადაგადაცილების შემთხვევაში, ანგარიში უნდა ითვალისწინებდეს ვადაგადაცილებული თანხისა და დღეების რაოდენობას, ასევე პრობლემის გადასაჭრელად გატარებულ ღონისძიებებს. ამ ანგარიშის საფუძველზე პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი შეაფასებს, თუ რამდენად შეესაბამება სასესხო საქმიანობა პროექტის წინაშე დასახულ მიზნებს და მონაწილე კომერციული ბანკის პროექტის სასესხო პორტფელის მდგომარეობას.
- სასესხო და გირავნობის ხელშეკრულებების ასლები, იმ ქვესესხებზე, რომლებიც დამტკიცებული და დაფინანსებულია მონაწილე კომერციული ბანკის მიერ კვარტალის განმავლობაში ასევე წარედგინება პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს კვარტალურ ანგარიშებთან ერთად. (თან დაერთება მე-4 დანართში წარმოდგენილი ფორმატის მიხედვით შედგენილი წერილი);
- მონაწილე კომერციული ბანკი აგრეთვე წარუდგენს პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს პროექტის საკრედიტო ხაზით დაფინანსებულ აგრეგირებულ სასესხო პორტფელზე კვარტალურ ანგარიშს (დანართი 5-ში მითითებული ფორმატით).

აღმოჩენილი უზუსტობა

არცერთ კომერციულ ბანკს, ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტაცია არ აქვთ წარმოდგენილი.

საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან არ ყოფილა ოფიციალური განაცხადი, რომელიც მიმართული იქნებოდა დოკუმენტაციის დროულად წარმოდგენის პრობლემების აღმოსაფხვრელად.

გავლენა

N314 ბრძანებით განსაზღვრული ინსტრუქციების დარღვევა, შეიძლება გახდეს ბანკების პროექტში მონაწილეობის შეჩერების ან შეწყვეტის მიზეზი.

აღნიშნულიდან შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ პროექტში მონაწილე ბანკების კონტროლი, ცენტრის მხრიდან ვერ ხორციელდება სათანადოდ.

სოფლის განვითარების პროექტით გათვალისწინებული სახსრების ათვისების მდგომარეობა, გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და კანონიერება

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის რეგიონალური სამმართველოს ახალი ოფისის მშენებლობა

2010 წელს (სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში) საკოორდინაციო ცენტრს შპს „საქპროექტარქიტექტურასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების⁶ საფუძველზე, უნდა მომხდარიყო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის 15 (გურჯაანი, ზუგდიდი, ონი, ბორჯომი, ზესტაფონი, ყაზბეგი, ნინოწმინდა, გარდაბანი, ყვარელი, დუშეთი, ოზურგეთი, ლაგოდეხი მარნეული, ახალციხე და გორი) რეგიონალური სამმართველოს ახალი ოფისის მშენებლობა, რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 56,4 ათასი ლარი. ერთი ოფისის საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება იყო 3,7 ათასი ლარი.

აღმოჩენილი უზუსტობა

ნაცვლად 15 ოფისისა, ფაქტობრივად აშენდა ექვსი ოფისი (გურჯაანი, გარდაბანი, ყვარელი-შპს „გილმარი 2; ახალციხე, ბორჯომი და მარნეული-შპს „ალიანსი“), მშენებლობაზე მთლიანად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1,121 ათასი ლარი. საკოორდინაციო ცენტრის პროექტების მენეჯერის განმარტებით დარჩენილი 9 ოფისის მშენებლობა ვერ მოხერხდა, ვინაიდან მშენებლობისათვის საჭირო თანხები აჭარბებდა პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას.

გავლენა

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, პროექტის ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვაზე, რის გამოც 9 ერთეული ოფისის საპროექტო სამუშაოზე გაწეული (9X3,760) 33,840 ლარი გაიხარჯა უყარათოდ. მთლიანობაში ეს ფაქტი მიუთითებს საკოორდინაციო ცენტრის სუსტ მენეჯმენტზე.

სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის რეაბილიტაცია

2009 წელს საკოორდინაციო ცენტრსა და შპს „ნალი და კომპანიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შემსრულებელს უნდა განეხორციელებინა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 102,5 ათას ლარს. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გაზრდის გამო, ხელშეკრულებაში სამჯერ შევიდა ცვლილება და საბოლოო შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულებამ შეადგინა 117,6 ათასი ლარი, ანუ 15,1 ათასი ლარით მეტი თავდაპირველთან შედარებით.

აღმოჩენილი უზუსტობა

სამუშაოები, ნაცვლად კონტრაქტით გათვალისწინებული 2010 წლის 20 მარტისა, დასრულდა 2010 წლის 14 აპრილს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, სამუშაოების მოცულობის ზრდა გამოწვეული იყო საპროექტო სამუშაოებში რიგი უზუსტობებით და ტექნიკური ინფორმაციის ნაკლებობით კერძოდ:

- განფასებულ სამუშაოთა მოცულობებში, არ იყო გათვალისწინებული ოთხი ცალი ულტრასფერი სანათების ჩამრთველის დაყენება;
- ელ.მომარაგების სამუშაოთა მუხლში გათვალისწინებული იყო კაბელი კვეთით 2x16+10 25 გრძ.მ-ის ოდენობით, ხოლო აზომვებით საჭირო იყო 15 გრძ.მ-ის დამატება;
- ელექტრომომარაგების მუხლში დანადგარებისათვის მითითებული იყო სამფაზა კვების კაბელის კვეთით 3x4 მმ² მონტაჟი, მაგრამ პროექტში არ იყო მითითებული თუ საიდან უნდა ყოფილიყო სამფაზა კვება მიღებული. პროექტის მენეჯერის განმარტებითი ბარათით ასევე საჭირო გახდა ზუთწვერა კაბელის გამოყენება, რაც არ შეესაბამებოდა მასალათა სპეციფიკაციასა და განფასებული სამუშაოთა მოცულობების ინფორმაციას;
- წყალმომარაგების ქსელის მონტაჟის სამუშაოთა განფასების მუხლში მოცემულია ორი ცალი გამწოვი სისტემის მოწყობა, ხოლო განმარტებით ბარათში მოცემულია ერთი გამწოვი მოწყობილობა. არ არის ინფორმაცია

⁶ 2010 წლის 23 თებერვალის №LS-F-10-023 ხელშეკრულება

რა სიმძლავრის ძრავისთვის იყო განკუთვნილი აღნიშნული სისტემა, განფასებაში გამორჩენილია გამწოვის ძრავები, მხოლოდ გამწოვი მოწყობილობის მონტაჟი ძრავის გარეშე, სისტემას მუშა მდგომარეობაში ვერ ანაირად ვერ მოიყვანდა;

- ელექტრო მომარაგების მასალათა სპეციფიკაციისა და განფასებულ სამუშაოთა მოცულობების მუხლში მოცემულია ექვსი ცალი 5კვტ-იანი UPS-ის მონტაჟი. განმარტებითი ბარათში საერთოდ არ არის მოცემული ტექნიკური ინფორმაცია და მოთხოვნები აღნიშნული UPS-ების შესახებ.

ლაბორატორიის რეაბილიტაციის პროექტი შედგენილია ფიზიკური პირის გოჩა ლომუხანიძის მიერ, რომელთანაც საკოორდინაციო ცენტრს გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი (NLS-P- 09-189), ღირებულებით 3,2 ათასი ლარი.

გავლენა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეაბილიტაციის პროექტის შედგენისას საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან არ იყო დაწესებული კვალიფიციური (სათანადო) კონტროლი საპროექტო სამუშაოს მიღებაზე (კონტრაქტორზე), რის გამოც საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების გაწევა. შედეგად გაზრდილი იქნა სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება და თავდაპირველად კონტრაქტით გათვალისწინებული ვადები.

აღმოჩენილი უზუსტობა

საკოორდინაციო ცენტრის მიერ, პროექტის ღირებულების დანახარჯი თანხით 3,2 ათასი ლარი, ნაცვლად არაფინანსური აქტივების მუხლისა შეცდომით იქნა გახარჯული სუბსიდიების მუხლით.

გავლენა

აღნიშნულმა შეცდომამ გამოიწვია არაფინანსური აქტივების 3,2 ათასი ლარით შემცირება, კერძოდ ამ თანხით შემცირდა ლაბორატორიების საბალანსო ღირებულება.

ბიუჯეტის დამტკიცება

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) გაფორმებული პროექტის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი მოამზადებს წლიურ სამუშაო გეგმებს და ბიუჯეტებს, რომელსაც შემდგომ განსახილველად წარუდგენს პროექტის სამეთვალყურეო კომიტეტს.

აღმოჩენილი უზუსტობა

აუდიტის პერიოდში საკოორდინაციო ცენტრს შემუშავებული და დასამტკიცებლად წარდგენილი აქვს მხოლოდ 2010 წლის სამოქმედო გეგმა, ხოლო 2008, 2009 და 2011 წლის სამუშაო გეგმები (სამოქმედო გეგმა) არ მომზადებულა, ასევე საერთოდ არ შემუშავებულა წლიური ბიუჯეტები, რაც შეუსაბამოა IFAD-თან პროექტის დაფინანსების ხელშეკრულების⁷ მოთხოვნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრს გააჩნდა 2010 წლის სამოქმედო გეგმა(პრიორიტეტები), რიგი საკითხების მაინც არ არის შესრულებული, კერძოდ:

- **ღვინის სექტორის სტრატეგია**

სტრატეგიის დოკუმენტის მიმღებია სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისაღებ დოკუმენტს უნდა განესაზღვრა საქართველოს ღვინის სექტორის გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. კონტრაქტი გაფორმებულია 2008 წლის 30 მაისს დამოუკიდებელ საკონსულტაციო ფირმა IOS PARTNERS (აშშ), ღირებულებით 384,507 აშშ დოლარი და 167,567 ლარი, კონტრაქტი ფინანსდებოდა იაპონური გრანტის ფარგლებში. თავდაპირველად კონტრაქტით დასრულებული დოკუმენტის საბოლოო ვერსიის წარდგენის ვადა განსაზღვრული იყო ხელმოწერიდან ექვს თვეში, თუმცა 2009 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ არ იქნა მიღებული და დამტკიცებული IOS PARTNERS-ის მიერ მომზადებული ღვინის სტრატეგიის სამუშაო ვარიანტი და კონტრაქტი 2009 წლის ივნისში დახურული იქნა შედეგის გარეშე.

⁷ მე-3 მუხლის 3.02 პუნქტი

მოგვიანებით სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება კონტრაქტის განახლების თაობაზე, რათა კონტრაქტორს დაესრულებინა სტრატეგიის დოკუმენტი. საბოლოო შეთანხმებით დოკუმენტის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2010 წლის ოქტომბერი. კონტრაქტორის მიერ 2011 წლის თებერვალში წარმოდგენილი იქნა სტრატეგიის ახალი პროექტი, თუმცა სამინისტროს მიერ ღვინის სტრატეგიის დოკუმენტის დასრულებული ვარიანტი დღემდე მიღებული არ არის მაშინ, როდესაც 2011 წლის 30 ივნისამდე პერიოდში საკოორდინაციო ცენტრის მიერ IOS PARTNERS-ზე უკვე ანაზღაურებულია 649,8 ათასი ლარი.

როგორც კონტრაქტორსა და სამინისტროს შორის მიმოწერით ირკვევა, სამინისტროს მიერ დოკუმენტის მიუღებლობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ შედგენილი დოკუმენტი მთლიანობაში ნაკლებად ტოვებდა სტრატეგიის შთაბეჭდილებას. თითქოს მასში პრობლემები ნახსენებია, მაგრამ აკლდა ლაკონურობა და მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება. ხოლო კონტრაქტორის პასუხებით, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი მთლიანად შეესაბამებოდა ტექნიკური დავალებაში ასახულ მოთხოვნებს.

შესყიდვები, რომლებიც არ განხორციელებულა

- *ვაზის ჯიშების ერთიანი ბაზის შექმნა*

აღნიშნულის მიზანი იყო ქართული ვაზის ჯიშების მონაცემთა ბაზის შექმნა, რაც ითვალისწინებდა ვაზის ჯიშების გენოტიპირებას და მიღებული შედეგების საფუძველზე „გენეტიკური ანაბეჭდების“ მონაცემთა ბაზის შექმნას. 2010 წლის 5 მაისს გაზეთ „24 საათში“, საკოორდინაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებული იყო განცხადება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე, თუმცა შესყიდვა არ განხორციელებულა.

- *ტექნიკური დახმარება არსებული და ახალ საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობასა და კონკურენტუნარიანობის შექმნაში*

მსოფლიო ბანკი მხარს უჭერდა საქართველოს მთავრობას, რომ დაეწყო მოლაპარაკებები თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების შესახებ ევროკავშირთან. აქედან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ მოითხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უცხოელი ექსპერტების დახმარება, ვისაც ექნებოდა გამოცდილება საექსპორტო ბაზრების განვითარებაში და სავაჭრო მოლაპარაკებების წარმართვაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ჩილეს მაგალითს, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო განვითარებას. ამ მიზნით მომზადებული იქნა კონსულტანტის სამუშაოს აღწერა, თუმცა საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა საკოორდინაციო ცენტრის მიერ არ განხორციელებულა.

- *სასწავლო კურსები ფერმერთა მომსახურების ცენტრებისათვის*

აღნიშნული მოიცავდა ფერმერული ცენტრების თანამშრომელთა სწავლებას ბიზნესის მართვასა და აგროტექნოლოგიურ საკითხებში, რომელიც დაეხმარებოდა ფერმერებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ბიზნესის და მომსახურების ხარისხის განვითარებაში. საქართველოში ამჟამად 33 ფერმერთა მომსახურების ცენტრია. მსოფლიო ბანკის მისიის რეკომენდაციით მიზანშეწონილი იყო სწავლების ჩატარება 2-3 მიმართულებით (მაგ. ბიზნესი, ფიტო-სანიტარია, ვეტერინარია და სხვა.) შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო 2010 წლის სექტემბერში, რაც არ შესრულებულა.

- *სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია*

გათვალისწინებული იყო სათანადო ლაბორატორიული მოწყობილობის შეძენა აჭარაში კვების უსაფრთხოებისათვის, რაც გამოწვეული იყო აჭარაში ბოლო წლებში ტურიზმის სწრაფი განვითარებით. იმის გათვალისწინებით, რომ ლაბორატორია მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა პროდუქციის შემოწმებაში, როგორც ექსპორტ-იმპორტის, ასევე ადგილობრივ ბაზარზე არსებული პროდუქციის კონტროლისათვის. შესყიდვა დაგეგმილი იყო 2010 წლის აგვისტოში, რაც არ განხორციელებულა.

- *სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი მოთხოვნით გათვალისწინებული იყო:*

- 1) ტექნიკური დახმარება სათესლე ჯიშების შესახებ სერტიფიცირების სისტემის შექმნასა და მათ შესახებ კანონმდებლობის განვითარებაზე.
- 2) საბითუმო ბაზრის განვითარებისათვის ტექნიკური დახმარება, შესანახი და სასაწყობო სისტემების განვითარება.

3) კონკურენტუნარიანობის ანალიზი, გეგ ანალიზის ჩატარება და ექსპორტის გაზრდის მიზნით აგრო კვების სექტორის მოდერნიზაციის გეგმის შემუშავება

4) მიწების კონსოლიდაცია, სათანადო ტექნიკური დავალება მომზადდა და შესყიდვა უნდა განხორციელდეს 2010 წლის სექტემბერში, თუმცა საკოორდინაციო ცენტრს შესყიდვა არ განუხორციელებია.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის იმ მნიშვნელოვანი საკითხების შეუსრულებლობის მიზეზი, რომელსაც სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა, საკოორდინაციო ცენტრში ვერ იქნა განმარტებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ორგანიზაციის მართვის სისტემის სისუსტეებზე. ვინაიდან საკოორდინაციო ცენტრი ხარჯების გაწევას ახდენს მესამე მხარისათვის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის, მიგვაჩნია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო სამინისტროსა და საკოორდინაციო ცენტრს შორის არაკოორდინირებული მუშაობით. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის არამყარ პრიორიტეტებზე და მართვის სისტემის სისუსტეებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სამუშაო გეგმა ნაწილობრივ შედგენილი იყო ფორმალურად, რაც თავის მხრივ, მუშაობის პროცესში წარმოქმნიდა პრობლემებს.

გავლენა

სამოქმედო გეგმის უქონლობა აფერხებს იმ სამუშაოთა გაწევის ვადებსა და პირობებს, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გასწიოს თავის საქმიანობის პერიოდში. არსებობს რისკი იმისა, რომ საქმიანობის პროცესში, შეიძლება თავი იჩინოს ბევრმა ისეთმა პრობლემამ, რომელიც გაართულებს პროექტის წარმატებით დასრულებას, რაც თავიდანვე სწორად დაგეგმვის პირობებში, შესაძლოა აღმოფხვრილიყო.

საქართველოს გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ღვინის სექტორისათვის დღემდე მიღებული არ არის, აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ სახელმწიფოსათვის ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც საჭიროა თანამედროვე და აქტიური ღვინის ინდუსტრიის შექმნისათვის, ვერ იქნება მისაღები ფორმით დასრულებული და შედეგის მომტანი, შესაბამისად არსებობს რისკი გახარჯული თანხის არაეფექტიანად გამოყენებისა. ტექნიკურ დავალებაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული პროექტის რისკები და მისი მართვა, რაც მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე გაუთვალისწინებელი მოვლენებიდან გამომდინარე.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

აუდიტის ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აუდიტორები

სოფიკო ლაცაბიძე

გიორგი კეკელიშვილი